შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD“- ის სასტიპენდიო პროგრამის 2026 წლის საგრანტო კონკურსი

ხშირად დასმული კითხვები

1. **GMUS-ში ასატვირთი CV/რეზიუმე ქართულ ენაზე უნდა იყოს თუ ინგლისურზე? ასევე, არსებობს თუ არა CV/რეზიუმეს ფორმატზე შეზღუდვა?**

   პასუხი: ორივე ენა მისაღებია და ფორმატზე შეზღუდვა არ არის.

2. **ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარდგენა საჭიროა?**

   პასუხი: არ არის სავალდებულო. ენის ცოდნა მოწმდება გასაუბრებაზე

3. **შესაძლებელია ჩემი სპეციალობას არ მოიცავდეს ჩამოთვლილი სამეცნიერო მიმართულებები?**

   პასუხი: მიმართულებების ჩამონათვალში აირჩევთ თქვენთის შესაფერის მიმართულებას.

4. **თარგმანი ნოტარიულად უნდა იყოს დამოწმებული?**

   პასუხი: არა, თარგმანს სჭირდება მთარგმენლთა ბიუროს დამოწმება.

5. **ჯერ რომელ ვებ-საიტზე გავაკეთებ განაცხადს, DAAD-ის პორტალსა თუ GMUS-ში აქვს მნიშვნელობა?**

   პასუხი: **თანმიმდევრობას** არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია ვადების დაცვით იყოს შევსებული და წარდგენილი.

6. **GMUS-ის სისტემაში გენერირებული განცხადება მარტო ფონდში მოგვაქვს? –**

პასუხი: არა, ხელმოწერილი განცხადების დასკანირებული ვერსია (PDF ფორმატში) ასევე უნდა აიტვირთოს DAAD-ის პორტალზე.

7. **შესაძლებელია თუ არა ფონდის კანცელარიაში წარმოსადგენი განცხადება სხვამ მოიტანოს? მაგ: ნათესავი, მეგობარი, ა.შ.**

პასუხი: დიახ, შესაძლებელია. მთავარია განცხადებაზე იყოს ორიგინალი ხელმოწერები.